პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 194 (8424)

1967 წ. 4 ოქტომბერი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ზატულოვსკაიამაც გაუსწრო...

სუბოტიცა, 3 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა, მოსკოველმა მოჭადრაკემ ა. კუშნირმა ბოლო ტურებში ორი გამარჯვებით გაინაღდა ერთპიროვნული ლიდერობა პრეტენდენტთა ტურნირში: ნიკოლაუსთან (რუმინეთი) XVI ტურის გადადებულ პარტიაში მან გაიმარჯვა და ახლა 12,5 ქულა აქვს.

II ადგილზე გადაინაცვლა ბაქოელმა ტ. ზატულოვსკაიამ, რომელმაც მოიგო XIII ტურის გადადებული პარტია მარკოვიჩთან (იუგოსლავია). ზატულოვსკაიას 12 ქულა აქვს და ნახევარი ქულით უსწრებს იუგოსლაველ ტ. შტადლერს.

ბედნიერი ფინიშის შემთხვევაში ლიდერებს წამოეწევა ვ. კოზლოვსკაია, (10,5 ქულა და 1 გადადებული პარტია).

მომდევნო ადგილებზე არიან იუგოსლაველი ვ. ნედელკოვიჩი — 10,5 ქულა, ა. კისლოვა — 10 ქულა და 1 გადადებული პარტია, ა. ნიკოლაუ — 9,5, მ. მარკოვიჩი და ნ. ალექსანდრია — 8-8 ქულა და თითო გადადებული პარტია.

ბოლო ტურში, რომელიც 4 ოქტომბერს გაიმართება პირველი ადგილის ბედი გადაწყდება პარტიებში: კუშნირი — ფრიდმანი (ისრაელი), ზატულოვსკაია — ნიკოლაუ და გრესერი (აშშ) — შტადლერი.

XVII სუბოტიცა

სსრ კავშირის პირველობა

გუშინ...

„ზარია" — „ჩერნომორეცი" 1:0

„დინამო" (მინსკი) — ცსკა 1:1

„ზენიტი" — „კრილია სოვეტოვი" 3:1

„არარატი" — „ლოკომოტივი" 1:0

„პახტაკორი" — „დინამო" (მოსკოვი) 1:3

„კაირატი" — „სპარტაკი" 1:0

ფეხბურთი 67

კვასხვაძის წყალობით

დონეცკი. „შახტიორის" სტადიონი, 3 ოქტომბერი.

„შახტიორი" (დონეცკი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:1 (0:1).

„შახტიორი": კოროტკიხი, გოლოვკო, ზიმა, გუბიჩი, დროზდენკო (სტანკიავიჩუსი), სალკოვი, ბაზილევიჩი, ბარდეშინი, პილიპჩუკი, ლობანოვსკი, ევსეენკო.

„ტორპედო": კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ებრალიძე, ძოძუაშვილი, წვერავა, ილიადი, ზარია, ერქომაიშვილი, ხაჟალია, ჭითანავა.

მსაჯი ი. მეილახშტეინი (მოსკოვის ოლქი).

დუბლიორები — 2:0 დონეცკელთა სასარგებლოდ.

მატჩი დონეცკელთა შეტევებით დაიწყო და თუ პირველ წუთებშივე ანგარიში არ გაიხსნა, ამას ქუთაისელები უნდა უმადლოდნენ კვასხვაძესა და ლოსაბერიძეს, რომლებმაც ლობანოვსკის ოსტატურად მოწოდებული კუთხურებიდან ორჯერ გამოიტანეს ბურთი კარის ხაზიდან. ქუთაისელთა მეკარის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან პირდაპირ ბრწყინვალედ ითამაშა — აიღო რამდენიმე უძნელესი ბურთი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბაზილევიჩმა, პილიპჩუკმა და ლობანოვსკიმ ვერ გამოიყენეს კარის აღების ხელსაყრელი მომენტები.

სტუმართა შეტევები ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. ერთ-ერთი ასეთი იერიშის დროს, 24-ე წუთზე, ილიადი მეტოქის სამ მცველს შორის მოხვდა, კარგად შეაფასა შექმნილი ვითარება, ეშმაკურად გადააწოდა ბურთი ხაჟალიას და ამ უკანასკნელმა ბუნება გაუფუჭა „შახტიორს" — 1:0.

შესვენების შემდეგ მასპინძლები გამუდმებით უტევდნენ სტუმართა კარს და გოლი, რომ იტყვიან, მწიფდებოდა. და აი, 67-ე წუთზე მარჯვენა ფლანგიდან ჩამოწოდებულ მაღალ ბურთს მიუსწრო ბაზილევიჩმა და თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

ამ გოლის შემდეგ ქუთაისელები მთლიანად დაცვაზე გადავიდნენ და თუ მათი კარი დარჩენილ დროში აუღებელი დარჩა, ეს ისევ კვასხვაძის ოსტატობას უნდა მივაწეროთ.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

„ა" კლასი I ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (მოსკოვი)	28	16	11	1	48—16	43
„დინამო" (კიევი)	26	14	10	2	37—9	38
„დინამო" (თბილისი)	27	11	11	5	34—22	33
„დინამო" (მინსკი)	27	9	13	5	37—25	31
„სპარტაკი" (მოსკოვი)	27	11	9	7	32—23	31
„შახტიორი" (დონეცკი)	28	10	11	7	34—33	31
„ნეფტიანიკი" (ბაქო)	26	10	8	8	40—28	28
„არარატი" (ერევანი)	27	10	8	9	27—27	28
„ტორპედო" (მოსკოვი)	26	11	5	10	31—31	27
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	27	6	14	7	20—20	26
ცსკა	27	8	10	9	26—30	26
„ტორპედო" (ქუთაისი)	28	7	10	11	29—39	24
ბსკ (როსტოვი)	27	9	6	12	24—34	24
„კაირატი" (ალმა-ათა)	28	7	9	12	21—39	23
„პახტაკორი" (ტაშკენტი)	28	4	14	10	27—36	22
„ზარია" (ლუგანსკი)	27	6	10	11	19—28	22
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	27	6	9	12	23—29	21
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	28	6	8	14	18—33	20
„ზენიტი" (ლენინგრადი)	27	6	6	15	21—46	18

„ბ" კლასი IV ზონა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (მახაჩყალა)	35	24	5	6	66—23	53
„სპარტაკი" (კისლოვოდსკი)	35	21	9	5	50—23	51
„დილა" (გორი)	35	20	7	8	57—37	47
„ლორი" (კიროვაკანი)	35	19	7	9	52—30	45
„მაშინოსტროიტელი" (პიატიგორსკი)	35	17	9	9	46—40	43
„დინამო" (სოხუმი)	35	14	13	8	52—31	41
„უროჟაი" (კრიმსკი)	35	17	7	11	48—31	41
„არაქსი" (ერევანი)	35	15	9	11	56—45	39
„შუქურა" (ქობულეთი)	35	13	8	14	49—41	34
„ცემენტი" (ნოვოროსიისკი)	35	12	10	13	42—37	34
„უროჟაი" (დერბენტი)	35	12	10	13	37—34	34
„უროჟაი" (მაიკოპი)	35	14	6	15	31—38	34
„მეტალურგი" (რუსთავი)	35	9	13	13	35—46	31
„გურია" (ლანჩხუთი)	34	11	7	16	35—40	29
„ლერნაგორცი" (კაფანი)	35	9	11	15	28—46	29
„სევანი" (ოქტემბერიანი)	35	10	8	17	33—47	28
„მაღაროელი" (ჭიათურა)	35	12	2	21	27—58	26
„ენგური" (ზუგდიდი)	35	6	11	18	37—64	23
„ალაზანი" (გურჯაანი)	34	5	9	20	25—60	19
„კოლხეთი" (ფოთი)	35	5	7	23	29—61	17

„სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე სამბოში წარმატებით გამოვიდა ქუთაისელი სპორტის ოსტატი თ. ერემაშვილი (მწვრთნელი გ. ბოგდანოვი), რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა და ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

სურათზე: თ. ერემაშვილი (ქვემოდან) ამარცხებს II ადგილზე გასულ მოსკოველ ა. ბრიანჩიხინს.

ფოტო ი. იუნაევისა.

შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-3 გვ.

ჩემპიონი ჩემპიონობს

ტამპერე, 3 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ევროპის კალათბურთელ ვაჟთა XV ჩემპიონატში, ცხადია, ყველა გუნდს ჰყავს თავისი გულშემატკივარი. ასეთთა „უმაღლეს კატეგორიას" მიეკუთვნებიან თანამემამულეების გასამხნევებლად ფინეთის ამ ქალაქში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული კალათბურთის მოყვარულები. დანარჩენთა კატეგორიას წარმოადგენენ ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებსაც საშუალება არა აქვთ ჰელსინკში მოასპარეზე თავიანთ გუნდს გაუწიონ გულშემატკივრობა და იძულებული არიან არჩევანი სხვა ქვეყნის კალათბურთელებზე შეაჩერონ.

განსაკუთრებული პრივილეგიით სარგებლობენ სპორტის ნორჩი მოყვარულები. მაშინაც კი, როცა მატჩებზე დასასწრები ყველა ბილეთი გაყიდულია, ნორჩებისთვის ფართოდაა ღია „იაააჰალის" კარი. ისინი ყოველთვის უბილეთოდ შედიან დარბაზში და მათთვის განკუთვნილ ტრიბუნაზე იკავებენ ადგილს.

1 ოქტომბერს ტამპერეში ფრანგებს შავი დღე გაუთენდათ. ჩვენებთან მატჩში ისინი თავდაპირველად სწრაფი ტემპის წყალობით და გულშემატკივართა ექსპანსიური შეძახილებით ძალზე დაფაცურდნენ, მაგრამ გავიდა ცოტა ხანი და მათს მოწადინებასაც და გულშემატკივრებსაც ჩვენმა ბიჭებმა პირდაპირ ცივი წყალი გადაასხეს. მეორე ტაიმში კი ანგარიში ისე სწრაფად იზრდებოდა, რომ ელექტროტაბლოს წამიერი „შესვენებაც" არ ჰქონდა. როცა საბჭოთა გუნდის ტაბლოზე ციფრი „100" გამოჩნდა, დარბაზი მქუხარე ტაშმა შეძრა...

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ზ. საკანდელიძე. იგი ყველას ხიბლავს სწრაფი და მოსაზრებული მოქმედებით, მეტოქის ფარქვეშ მოულოდნელი, სპრინტერული გასვლებით. სსრ კავშირისა და გდრ-ის გუნდების მატჩის დამსწრეთ დიდხანს ემახსოვრებათ ერთი ასეთი მომენტი: გერმანელთა ფარის სიახლოვეს მაღალი ბურთის დასაუფლებლად ემზადებოდა საბჭოთა და გერმანელ კალათბურთელთა მცირე ჯგუფი. და აი, მოულოდნელად ჰაერში აიჭრა საკანდელიძე, ბურთი ხელთ იგდო და „მეორე სართულზე" მყოფმა, შეუჩერებლივ გაგზავნა მეტოქის კალათში. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ კარგა ხანს გონს ვერ მოვიდნენ არა თუ გერმანელი კალათბურთელები, მაყურებლებიც კი.

სსრ კავშირის ნაკრებმა 4 მატჩიდან ქულათა მაქსიმუმი დააგროვა. 3-3 მოგება აქვთ საბერძნეთისა და იტალიის გუნდებს, მაგრამ მათ ხომ „გამოცდა" უნდა ჩააბარონ სსრ კავშირის ნაკრებს!

საბერძნეთის გუნდმა დაამარცხა უნგრელები — 69:60, იტალიელებმა — ისრაელელები — 70:67. მხოლოდ 2 ქულის სხვაობით მოუგეს მატჩი გდრ-ის ნაკრებს ბულგარელმა კალათბურთელებმა — 68:66.

ჰელსინკის ჯგუფში კი ჯერჯერობით გაურკვეველი მდგომარეობაა. 3-3 მოგება აქვს ხუთ გუნდს — იუგოსლავიას, ჩეხოსლოვაკიას, პოლონეთს, რუმინეთსა და ფინეთს. ჩეხოსლოვაკიელებმა წინა ჩემპიონატის პრიზიორების — იუგოსლაველი და პოლონელი კალათბურთელების დამარცხების შემდეგ წააგეს... ფინელებთან, რომელთა რიგებში გამოდიოდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან ახლახან დაბრუნებული კ. ლიიმო — 49:54.

ნ. გუგუშვილი,
ჯ. ენუქიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ძმა რესპუბლიკებში

სპორტული ესტონეთი

ბოლო წლებში ესტონეთს სამართლიანად უწოდებენ სპორტის რესპუბლიკას. აქ ცხოვრობენ ისეთი გამოჩენილი სპორტსმენები, როგორიც არიან მოჭიდავე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ი. კოტკასი, მოჭადრაკე პ. კერესი, ოლიმპიური ჩემპიონი, მოციგურავე ა. ანტსონი, ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, მძლეოსანი რ. აუნი, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონები ჩოგბურთში თ. ლეიუსი და ტ. სიმსონი, მოტომრბოლელები ე. კიისა და ი. ფრეიფელდი.

ვარსკვლავები, რა თქმა უნდა, ბურჟუაზიულ ესტონეთსაც ჰყავდა, მაგრამ სპორტული კლუბების გზა მხოლოდ რჩეულთათვის იყო ხსნილი. მუშათა სპორტული საზოგადოების შექმნისთვის შეუპოვარი ბრძოლა იყო გაჩაღებული. აი, რას წერდა 1935 წელს სპორტული გაზეთი „ეესტრი სპორტდილეხტი“: „ჩვენს სპორტულ ორგანიზაციებს ეკონომიურად უჭირთ. თუ რაიმე წარმატებას მივაღწიეთ, ისევ შეუპოვრობისა და თავად სპორტსმენთა სიმტკიცის წყალობით“.

ახალი, საბჭოთა ესტონეთის მოქალაქეებს ყველა პირობა შექმნათ ფიზიკური სრულყოფისთვის. მათ უსასყიდლოდ გადაეცათ სტადიონები, აუზები, დარბაზები, სპორტული ინვენტარი, ჰყავთ კვალიფიციური მასწავლებლები და მწვრთნელები. ახლა ესტონეთში 300 ათასზე მეტი ფიზკულტურელია, ესე იგი, ოცჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს იყო. ეს მოსახლეობის მეოთხედს შეადგენს. რესპუბლიკაში 1700-ზე მეტი ფიზკულტურის კოლექტივია, 1242 სპორტის ოსტატი, ბევრი საერთაშორისო კლასის ოსტატი.

საბჭოთა ესტონეთში სპორტს ჭეშმარიტად მასობრივი ხასიათი მიეცა. სისტემატურად ტარდება ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდების სპარტაკიადები, ეგრეთ წოდებული სახალხო ლაშქრობები, რომლებშიც ბოლო ორ წელიწადში 650 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. ტალინის III სპორტულ თამაშებში 122 ათასი სპორტსმენი ჩაება. სხვათა შორის, ოცდაათიან წლებში ერთი ბურჟუაზიული გაზეთი წერდა: ესტონეთის თამაშებში 4 ათასმა კაცმა აიღო სტარტიო.

რესპუბლიკაში დანერგილია სპორტის 42 სახეობა. მათგან სხვებზე პოპულარულია კალათბურთი, მძლეოსნობა, ველოსპორტი, ჩოგბურთი, აფროსნობა, მოტოსპორტი და სპორტული ორიენტირება. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 1967 წლის დამდეგამდე ესტონეთის სპორტსმენებმა საკავშირო პირველობებში მოიპოვეს ოქროს 441, ვერცხლის 557 და ბრინჯაოს 550 მედალი. ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში, ოლიმპიურ თამაშებში ესტონეთის წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს ოქროს 39, ვერცხლის 15 და ბრინჯაოს 5 მედალი. ესტონეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ხელმძღვანელობენ პარტიისა და მთავრობის შარშანდელი დადგენილებით „ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. დამუშავებულია ღონისძიებათა გეგმა რესპუბლიკაში ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი აღმავლობისათვის. ამ გეგმით გათვალისწინებულია ახალი ბაზების მშენებლობაც, მათგან ბევრი, მაგალითად, ტალინის სპორტის სასახლე, „დინამოს“ კომპლექსური ბაზა ტარტუში უკვე ჩადგა მწყობრში.

მნიშვნელოვანი თანხა იხარჯება ფიზკულტურის სწავლებისთვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ბავშვთა სპორტული სკოლებისათვის. წლეულს გაიხსნა რესპუბლიკაში პირველი სპეციალიზებული სპორტული სკოლა-ინტერნატი. ბოლო წლებში ესტონეთში შეიქმნა საზაფხულო სპორტული ბანაკები. 1966 წლიდან ტალინის ყველა მოსწავლე, როგორც წესი, ცურვას სწავლობს. ამას წინათ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ყველა სახლმმართველობას დაუმტკიცდა ფიზაღზრდის პედაგოგ-ინსტრუქტორის შტატი.

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში ბევრმა ესტონელმა უმაღლესი ოსტატობა, კარგი ფიზიკური მომზადება, გამარჯვებისკენ დიდი სწრაფვა გამოავლინა. თავი ისახელა გოლიათმა იან ტალტსმა, რომელმაც ქვემძიმე წონის ძალოსანთაგან პირველმა გადალახა 500-კილოგრამიანი ზღვარი სამჭიდში. კარგად გამოვიდნენ მძლეოსნები მ. პაამა, ლ. ერიკი, რ. აუნი, აფროსნები ვ. კნიაზევი და რ. რეიმანი, მოფარიკავეები, ნიჩბოსნები, ცხენოსნები.

რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა სპორტის პროპაგანდას. თვეში ორჯერ გამოდის ჟურნალი „კეხაკულტუური“, კვირაში ერთხელ — გაზეთი „სპორტდილეხტი“. სპორტის ამბები სისტემატურად ქვეყნდება რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, გადაიცემა რადიოთი და ტელევიზიით.

ი. ნოსაოვი.

(ახალი ამბების სააგენტო).

• • •

ს ු რ ა თ ზ ე: თ. ლეიუსი ვარჯიშისას.

ფოტო ი. იუნაევისა.

ლაიპციგში ასე ამზადებენ...

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პრორექტორი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. მელია ორი წლით მივლინებული იყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რათა დახმარება გაეწია ლაიპციგის ფიზკულტურის უმაღლესი სკოლის მუშაკებისთვის. ვბეჭდავთ მის წერილს ამ სკოლის მუშაობის ზოგიერთი მხარის შესახებ.

ლაიპციგის ფიზკულტურის უმაღლესი სკოლა გდრ-ის ერთ-ერთი ცენტრალური სასწავლო და კვლევითი დაწესებულებაა ამ დარგში. სკოლის უმთავრესი ამოცანებია: ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტთა კადრების მომზადება, მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებლებისა და მეცნიერ-მუშაკთა მომზადება (ასპირანტურაში), მეცნიერული კვლევა სპორტის სფეროში, ზრუნვა მეცნიერული კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვისთვის.

სპეციალისტებს სამ ფაკულტეტზე ამზადებენ. დიდი სპორტის ფაკულტეტის სტუდენტები მწვრთნელის ასისტენტის ფუნქციას ასრულებენ და უმაღლესი თანრიგების სპორტსმენთა მომზადების ხელოვნებას ეუფლებიან.

ფიზაღზრდის მასწავლებლების ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს სახალხო განათლების სისტემაში მუშაობის, აგრეთვე, სასკოლო სპორტული სექციების ხელმძღვანელობის უფლება აქვთ. მათვე შეუძლიათ ერთდროულად მოემზადონ ბიოლოგიასა და ისტორიაშიც და შემდეგ I-X კლასებში ასწავლონ ეს საგნები (მეორე საგანს ლაიპციგის კარლ მარქსის სახელობის უნივერსიტეტში ეუფლებიან).

მასობრივი სპორტის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები ამზადებენ სპორტსმენებს ოსტატობის ერთ განსაზღვრულ დონემდე.

დასწრებულ ფაკულტეტებზე სწავლის ვადა 4 წელია, დაუსწრებელზე — 6. ამ ხნის მანძილზე სტუდენტი ეუფლება საზოგადო-მეცნიერულ საგნებს (ისტორიას, ფილოსოფიას, პოლიტეკონომიას და სხვ.), საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს (ანატომიას, ბიოქიმიას, ფიზიოლოგიას, სპორტულ მედიცინას, ჰიგიენას, პირველ დახმარებასა და მასაჟს, ბიომექანიკას, სპორტულ ნაგებობათა მშენებლობას და სტატისტიკას), პედაგოგიკურ მეცნიერებებს (ფიზკულტურის თეორიას და სოციოლოგიას, ფიზკულტურის ისტორიას, ფიზკულტურის ორგანიზაციას, ფსიქოლოგიას, ფიზაღზრდის თეორიას); პედაგოგიკურ-მეთოდურ საგნებს (პედაგოგიკას, არჩეული სახეობის სწავლების მეთოდიკას, პრაქტიკის სხვადასხვა სახეს); სპორტის თეორიას და პრაქტიკას (ძირითადი ტანვარჯიში, სპორტული ტანვარჯიში, მძლეოსნობა, სპორტული თამაშების ყველა სახეობა, ცურვა და სპორტის საწყლოსნო სახეობები, კრივი, ჭიდაობა, ძიუ-დო, ზამთრის სპორტის ყველა სახეობა და ტურიზმი), ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს (მეტყველების სწორი არტიკულაცია, უცხო ენები, დაკვრა, ფოტოკინემატოგრაფია). სკოლებისთვის ფიზაღზრდის მასწავლებლებს ამზადებენ უნივერსიტეტების სპეციალურ ფაკულტეტებზეც.

ფიზკულტურის უმაღლესი სკოლის ორგანიზაციას საფუძვლად დაედო ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტთა მომზადების ჩვენი გამოცდილება. ლაიპციგის სკოლის თითქმის ყველა ხელმძღვანელი ან სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულია, ან ჩვენს ასპირანტურაში სწავლობდა.

საბჭოთა სპეციალისტების დიდი ჯგუფი კარგა ხანს ეხმარებოდა გერმანელ მეგობრებს საწვრთნელი პროცესის ორგანიზაციაში. გდრ-ის სპეციალისტთა დიდი პატივისცემა მოიხვეჭეს საქართველოს მეცნიერებმა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ს. ნარიკაშვილმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ა. როიტბაკმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ლ. ჩხაიძემ და სხვ. საქართველოს სპორტკავშირის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ მიიღო ლაიპციგის ფიზკულტურის უმაღლესი სკოლის რექტორის, პროფესორ გ. შუსტერისა და სპორტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ა. ლენარდის წერილი. გერმანელი მეგობრები გვთხოვენ კვლავაც დავეხმაროთ მათ თანამედროვე სპორტის მთელი რიგი ურთულესი პრობლემების გადაჭრაში. ეს ჩვენი მეცნიერების მიღწევათა აღიარების კიდევ ერთი დადასტურებაა.

ოქტომბრის სტარტები

✦ თბილისი

დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა მოსწავლეთა საქალაქო პირველობა ფრენბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა გოგონათა 32 და ჭაბუკთა 40 გუნდი. გოგონებში გაიმარჯვეს 41-ე სკოლის წარმომადგენლებმა, ხოლო ჭაბუკებში — 54-ე სკოლის სპორტსმენებმა.

ი. ხაბეიშვილი.

პიონერთა ალპინიადა

ამ 30 წლის წინათ სახალხო განათლების თბილისის განყოფილებამ მოაწყო პიონერთა ალპინიადა; რომლის ხელმძღვანელობა დაევალა ამ სტრიქონების ავტორს. ექსპედიციაში მონაწილეობდა 15 ბავშვი — სწავლასა და ფიზკულტურაში წარჩინებული 8 გოგონა და 7 ბიჭი.

ექსპედიციის მიზანია მწვერვალ ალაგიოზის (ლენინაკანის რაიონი, სიმაღლე — 4100 მ) დალაშქვრა.

— პიონერთა ალპინიადა პირველია სსრ კავშირში, — ვაფრთხილებ ბავშვებს. — მთას ხუმრობა არ უყვარს. მთა მაღალია და კლდოვანი, თოვლ-ყინულიანი და სახიფათო. საჭიროა უდიდესი სიფრთხილე, წესრიგი და ხელმძღვანელის სრული მორჩილება.

ბავშვები სულგანაბული მისმენენ და ერთხმად მპირდებიან წესრიგის დაცვას.

... ღამეს ალაგიოზის მეტეოსადგურში (3200 მ) ვათევთ. სადგურის თანამშრომლებმა გულთბილად მიგვიღეს. მათთვის მოულოდნელია ბავშვების ექსპედიცია. ორი დიდი ოთახი დაგვითმეს...

მეორე დღეს დილაადრიან შევუდექით მწვერვალს. ბავშვები გავამწკრივე და ყველას რიგითი ნომერი მივაკუთვნე. ნომერი ნომერს უნდა მისდევდეს, არც გასწრება შეიძლება, არც მწყობრიდან გამოსვლა.

მსუბუქად მივდივართ. ჩანთებში მცირე საუზმე გვაქვს, მათარებში — წყალი, ხელთ — წვეტიანი ჯოხები.

დიდებს რიგრიგობით მოაქვთ ფარჩის წითელი დროშა, რომელიც მხოლოდ მწვერვალზე გაიხსნება.

გრილა. გუშინდელი რისხვის შემდეგ ცა მოკრიალებულია.

გოგონების ლაპარაკი შემომესმა. ჯგუფი შევაჩერე.

— ასვლის დროს ლაპარაკი არ შეიძლება, — ვაფრთხილებ ბავშვებს. — ამ გათხელებულ ჰაერში სუნთქვა ისედაც ჭირს.

ჩუმად მივდივართ. მხოლოდ ჩვენი ჯოხების კაკუნი ისმის. როცა 3.500 მეტრის სიმაღლეზე თოვლის ზონა დაიწყო, ჯგუფი შესასვენებლად შევაჩერე. ბავშვებმა ამ შუა ზაფხულში გუნდაობა გააჩაღეს.

აქ ცოტა შევნაყრდით და კვლავ შევუდექით აღმართს. დაქანება 30 გრადუსზე მეტი არ იქნება, მაგრამ ბავშვებისთვის ესეც საკმარისია, მეტადრე იქ, სადაც მრავლად ყრია წვეტიანი ქვები და ლოდები. ქვებს ხან გვერდს ვუვლით, ხან ვახტებით. ერთ ადგილას ჯგუფი შევაჩერე და წინ წავედი „გზის“ დასაზვერად. მივდივარ უხმოდ... კინაღამ ფეხი დავადგი ლოდებს შუა მძინარე მგელს, რომელიც შეშინებული წამოხტა და თავქვე დაეშვა...

ალტიმეტრი (სიმაღლის მზომი) 3.700 მეტრს მიჩვენებს. ესე იგი, მწვერვალამდე კიდევ 400 მეტრია. თუ არაფერი შეგვემთხვა, ორ საათში იქ ვიქნებით.

ყველაფერი რიგის მიხედვით მიდის, გზა სახიფათო არ არის, ოღონდ ჩვენგან მარჯვნივ ციცაბო კლდეები აყუდებულან. მაგრამ ეს არ გვაწუხებს. ჩვენი „გზა“ მარცხნივ მიდის, თანაბარი აღმართით.

აი, მწვერვალიც!..

— ვაშ-ა-ა! გაუმარჯოს მწვერვალს! — ყიჟინებენ ბავშვები, აღტაცებულნი ერთმანეთს ეხვევიან და ჰკოცნიან.

მაშინვე გავშალეთ წითელი დროშა. ბავშვებს გამარჯვება მივულოცე. შემდეგ ნორჩმა მთამსვლელებმა სიტყვები წარმოთქვეს ქართულად, რუსულად და სომხურად. ვიმღერეთ კიდეც, სურათიც გადავიღეთ.

— აბა, ვისაც როგორ შეგიძლიათ, თქვენს დღიურებში ჩაიხატეთ, რასაც აქედან ხედავთ: ეს ოთხივე მწვერვალი, კრატერი, ტბები და ლამაზი არარატი თავისი ორი წვერით.

ბავშვები გულმოდგინედ შეუდგნენ ხატვას და ხაზვას.

კომპასით ვუჩვენებ ოთხივე მხარის მიმართულებას, რომ სწორად აღნიშნონ ნახატზე ჩრდილოეთი და სამხრეთი.

მწვერვალზე მთელი საათი დავყავით. გრძელ ქაღალდზე ჩვენი გვარები ჩამოვწერეთ, კონსერვის კოლოფში ჩავდეთ, ზემოდან ქვა დავადეთ და 6 საათზე დავიწყეთ ფრთხილად დაშვება.

საღამოს 8 საათზე მეტეოსადგურში ვიყავით. ტბის პირას ხელპირი დავიბანეთ. ყურადღებით დავათვალიერეთ მეტეოსადგური, მეგობრული საუბარი გავაბით ამ სადგურის მუშაკებთან, რომლებიც ასე გულთბილად შეგვხვდნენ — თავისი ლოგინიც კი დაგვითმეს, თვითონ კი ნაბდები წაიხურეს.

დაღლილ ბავშვებს მალე ტკბილად ჩაეძინათ.

რადიოგრამით ვაცნობე თბილისს, რომ პიონერთა ექსპედიციამ მთელი შემადგენლობით მიაღწია მწვერვალს და უვნებლად დაბრუნდა მეტეოსადგურში.

ე. ლუკაშვილი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ალპინიადის მონაწილეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდობამ თავისი გაიტანა

იმის თაობაზე, რომ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობაში მძლეოსნობას სათანადო ყურადღება არ ექცევა, ბევრი ითქვა და დაიწერა. ზემდგომმა ორგანიზაციებმა გააფრთხილეს კიდეც ამ სასწავლებლების ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრები, მაგრამ გაფრთხილება გაფრთხილებად დარჩა. ბევრ უმაღლეს სასწავლებელს მრავალი წელია აღარ გამოჰყავს სრული გუნდები ამ სახეობაში, ხოლო საგაზაფხულო და საშემოდგომო კროსებში ცალკეულ სპორტსმენთა მონაწილეობითაც არ იწუხებს თავს.

ერთ მაგალითს მოგახსენებთ: „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭო ყველა უმაღლეს სასწავლებელს ავალებდა საშემოდგომო კროსში სააპარეზოდ გუნდების გამოგზავნას. სოხუმიდან ასეთი პასუხი მოვიდა: 8000 მეტრზე მორბენლები არ გვყავს და ვერ ჩამოვალთო (?!). არ გამოცხადდნენ არც ბათუმის, გორის, ცხინვალის, ქუთაისისა და თელავის პედაგოგიური ინსტიტუტების კოლექტივები. შეჯიბრებას თავი აარიდეს თბილისის სასოფლო-სამეურნეო, უცხო ენების პედაგოგიურმა, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტებმაც.

ამრიგად, რესპუბლიკური საბჭოს პირველობა თბილისის პირველობად იქცა. მონაწილეთა უმეტესობამ სრული გუნდები ვერ გამოიყვანა (გუნდებს ყოველ დისტანციაზე 4-4 სპორტსმენი უნდა გამოეყვანათ, ჩათვლაში 3-3 საუკეთესო შედეგი შედიოდა). მაგალითად, თბილისის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა განაცხადი 5 სპორტსმენზე წარმოადგინა (16-ის ნაცვლად), სტარტზე კი მათგან მხოლოდ 2 მოვიდა, უნივერსიტეტის 5 ათას სტუდენტში 5 მორბენლის მეტი ვერ მოიძებნა, პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა ვერც ერთი სპორტსმენი ვერ გამოიყვანა 2000 მეტრზე...

„ბრძოლის ველზე“ (დელისში, იქ, სადაც უნივერსიტეტის ახალი კორპუსები შენდება) მთელი საბრძოლო შემადგენლობით გამოცხადდა ერთადერთი ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი და, ცხადია, გუნდური პირველობაც მან დაინარჩუნა.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, პირადი პირველობა საინტერესო და დაძაბული იყო. 4000 მეტრზე ჭაბუკთა ასპარეზობისას ზ. წვენიაშვილი, ა. მიქოიანი (ორივე — ფიზკულტურის ინსტიტუტი) და ვ. მაირომიანი (უნივერსიტეტი) დიდხანს მხარდამხარ მირბოდნენ. დაწინაურდებოდა ერთი და მეტოქენიც მაშინვე ტემპს უმატებდნენ. ბოლოს, ფინიშამდე 200 მეტრი რომ დარჩა, ლიდერებმა სპრინტერული სისწრაფე განავითარეს. აქ კი მაირომიანი უფრო ფეხმარდი აღმოჩნდა და გამარჯვებაც მას დარჩა — 14.16,8. წვენიაშვილი II ადგილს დასჯერდა.

წალკელმა ს. პარასკევოვამ პირველი დიდი წარმატება ამ სამი წლის წინათ მოიპოვა, როცა რესპუბლიკურ კროსში ყველა ფავორიტი ჩამოიტოვა. ახლა იგი ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორეკურსელია და 2000 მეტრზე ცდიდა ძალას. პარასკევოვა ამ შეჯიბრებაშიც პირველი იყო—8.24.0.

ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველკურსელები — ესენტუკელი დ. სუბოტინა, ნალჩიკელი ტ. სერდიუკოვა და ქუთაისელი ე. ტიტკოვა ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში ერთ ოთახში ცხოვრობენ. ისინი აქაც ერთად იბრძოდნენ 1000 მეტრზე რბენაში და საპრიზო ადგილებიც ამ თანმიმდევრობით დაისაკუთრეს. სუბოტინას დროა 3.44,8.

ყველაზე საინტერესო მაინც 8000 მეტრზე ვაჟთა რბენა გახლდათ. აქ გამარჯვებისთვის საქართველოს ნაკრების წევრები ი. მიხაილჩენკო, ი. სოვეტკინი, ი. ზეინან-ოღლი, ნ. დავიდენკო და სხვები იბრძოდნენ. შუა დისტანციის შემდეგ გაირკვა, რომ მთავარი მეტოქენი პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასწავლებელი, კროსში მრავალგზის ნაცადი მიხაილჩენკო და ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, ახალგაზრდა დავიდენკო იყვნენ. უმნიშვნელო, მაგრამ გადამწყვეტი უპირატესობა დავიდენკომ ფინიშთან მოიპოვა, როცა მეტოქეს მკერდით აჯობა ორივეს ერთნაირი, საკმაოდ მაღალი შედეგი (26.57,0) აღმოაჩნდა.

შედგა ნაკრები, რომელიც საქართველოს პროფკავშირთა საშემოდგომო კროსში იასპარეზებს.

ო. ივდოშვილი.

• • •

სურათებზე: ზევით — ხ. პარასკევოვა ფინიშთან; ქვევით — 4000 მეტრზე მორბენალი ჭაბუკები დისტანციაზე.

ფოტო ავტორისა.

ოჯახის ბედნიერი დღე

30 სექტემბერი ბედნიერი გამოდგა სპორტის ოსტატ შოთა ზუკაკიშვილის ოჯახისთვის. იმ დღეს „სპარტაკის“ ცენტრალურმა საბჭომ მრავალი წლის მანძილზე ნაყოფიერი შრომისთვის იგი სიგელით და სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვა.

იმავე დღეს ზუკაკიშვილის 17 წლის ვაჟი ვასილი თბილისის ცენტრალურ საჭიდაო დარბაზში ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდა სამბოში „სპარტაკის“ საკავშირო პირველობაზე. ჭაბუკმა სპორტსმენმა შესანიშნავად იჭიდავა, ღირსეულად გაამართლა მამისა და სახელოვანი მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. ბალავაძის ნდობა. მან შეჯიბრების სტარტზევე 4 წმინდა გამარჯვება მოიპოვა უმჩატეს წონაში, ფინალში კი ქულებით დაამარცხა ლენინგრადელი სპორტის ოსტატები ი. შმატოვი და ა. დიაჩკოვი, ჩემპიონი გახდა და ოქროს პირველი მედალი მოიხვეჭა!

ამ ასპარეზობაში არც შ. ზუკაკიშვილის აღსაზრდელებს შეურცხვენიათ თავი: ზ. ქურხული (ქვემსუბუქი წონა), ო. მიღდისოვი (მსუბუქი) და ხ. კურტაევი (საშუალო) ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ, ხოლო გ. დალაქიშვილი (ქვემსუბუქი) და ვ. ტუაევი (საშუალო) — ვერცხლის პრიზიორები.

ოქროს კიდევ ორი მედალი მოიპოვეს ქუთაისელმა თ. ერემაშვილმა (ქვემძიმე) და თბილისელმა რ. ოდიშელიძემ (მძიმე).

კარგად იჭიდავეს თბილისელებმა ჩ. ჭინჭარაულმა (მჩატე) და თ. არაბულმა (მსუბუქი), რომლებმაც ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს. ი. ქვლივიძე (ქვესაშუალო წონა) ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

სტუმრებიდან წარმატებით იასპარეზეს ვ. როსინსკიმ (ჩერნოვცი) და ვ. ლისოვსკიმ (ოდესა), რომლებმაც ჩემპიონობა მოიპოვეს შესაბამისად მჩატე და ქვესაშუალო წონებში.

ი. იუნაევი.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — „სპარტაკის“ საკავშირო საბჭოს ინსტრუქტორი ბ. დავიდკინი ჯილდოს გადასცემს შ. ზუკაკიშვილს; მარჯვნივ — „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. რობაქიძე გამარჯვებას ულოცავს ვ. ზუკაკიშვილს.

ფოტო ავტორისა.

ორი თბილისელი — ნაკრებში

სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა ოლიმპიური გუნდების წლევანდელი საკავშირო ტურნირი სასტენდო სროლაში 17-20 ოქტომბერს გაიმართება ლვოვში. ფაქტიურად ამ შეჯიბრებამ უნდა გამოავლინოს სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები, რომლებიც გაისად მეხიკოში გამოვლენ ცეცხლის ხაზზე.

ლვოვის ტურნირში სააასპარეზოდ სამზადისს გუნდები კარგა ხანია შეუდგნენ. ამას წინათ სევასტოპოლში გაიმართა ერთი ამგვარი შესარჩევი შეჯიბრება — „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა. ადგილიდან სროლაში გამარჯვებისთვის ბრძოლა თავიდანვე ოდესელ ი. ნიკანდროვსა და ხარკოველ ვ. ლავრინენკოს შორის გაჩაღდა. პირველი 100 სამიზნიდან მათ 98-98 გატეხეს. თბილისელი ზ. მაჩხანელი ლიდერებს 4 ქულით ჩამორჩა. მეორე დღეს ნიკანდროვმა და მაჩხანელმა 4-4 სამიზნეს დააცილეს, ლავრინენკომ კი — სამს. იგი ერთპიროვნული ლიდერი გახდა — ახლა მას 200-დან 195 ქულა ჰქონდა.

მესამე 100 სამიზნეზე სროლისას ლიდერს ნერვებმა უღალატა — 5 სამიზნე გაუფრინდა, ნიკანდროვმა და მაჩხანელმა კი მხოლოდ ორ-ორს დააცილეს. საბოლოო გამარჯვება ნიკანდროვს დარჩა — 292 ქულა (300-დან). II ადგილზეა ლავრინენკო — 290, III — მაჩხანელი — 288.

მრგვალ სტენდზე სროლაში ჩემპიონი გახდა ნიკანდროვის ძმა — ა. სმაგინი (ოდესა) — 192 ქულა 200-დან.

მაგრამ ბრძოლა ამით როდი დამთავრდა. ტურნირის მერე შეიქმნა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრები და იგი საკავშირო პროფსაბჭოს სპორტსაზოგადოებების ტურნირში სააასპარეზოდ ლვოვს ეწვია.

აქ ნიკანდროვი და მაჩხანელი დაწინაურდნენ. მათ „ბურევესტნიკის“, „ლოკომოტივის“ და სხვა პროფკავშირული საზოგადოებების მესტენდურეებთან ბრძოლაში შესაბამისად I და II ადგილები დაიკავეს. ნიკანდროვმა 288 ქულა მოაგროვა (ქარიან ამინდში), მაჩხანელმა კი — 282. ორივე სპორტსმენი პროფკავშირთა ოლიმპიურ ნაკრებში ჩარიცხეს. პროფკავშირთა ოლიმპიურ ნაკრებში მოხვდა მეორე თბილისელი ოსტატი ვ. ალავერდოვიც („ლოკომოტივი“).

ა. პროკოპენკო.

ლვოვი

წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის კანდიდატის წოდება მიენიჭათ: **ტანვარჯიშში** — გ. ჩქოტუას (ზუგდიდი, განათლების განყოფილება); **სასტენდო სროლაში** — ი. კლიმოვს (რუსთავი, ასკ), ა. პუჩინიანს, ა. პოგორელოვს (ორივე — ბათუმის „სპარტაკი“); **სახანძრო-გამოყენებით სპორტში**—ი. თიგიშვილს (რუსთავის „დინამო“); **კლასიკურ ჭიდაობაში** — რ. მაილიანს (თბილისის „სპარტაკი“).

• • •

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **ტყვიის სროლაში** — ს. მალიუტინს (თბილისის „დინამო“); **მთამსვლელობაში**—დ. შარაშენიძეს, გ. ქართველიშვილს (ორივე—თბილისის „განთიადი“), გ. მანაგაძეს (თბილისის „ბურევესტნიკი“); **კალათბურთში** — ვ. მჭედლიძეს (თბილისის „ბურევესტნიკი“); **კლასიკურ ჭიდაობაში** — თ. მაკიევს (თბილისის „შრომითი რეზერვები“); **ველოსპორტში** — ს. ზირაქიშვილს (თბილისის „სპარტაკი“); **თავისუფალ ჭიდაობაში** — რ. ბალდასაროვს (თბილისის „შრომითი რეზერვები“), რ. დობორჯგინიძეს, რ. ფიფიას (ორივე — ბათუმის „დინამო“), ნ. სირბილაძეს, ჯ. ხანთაძეს (ორივე — ქუთაისის „დინამო“); **ძალოსნობაში** — ა. არაქელიანს (სოხუმის „დინამო“)

• • •

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **თავისუფალ ჭიდაობაში** — თ. ასლამაზიშვილს (თბილისის „ბურევესტნიკი“), გ. გოგიჩაიშვილს (თბილისის „დინამო“).

• • •

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: კალათბურთში — ი. მირიანაშვილს (თბილისი); **ჭიდაობაში** — ა. კუხიანიძეს, ვ. ბალავაძეს (ორივე — თბილისი); **მძლეოსნობაში** — ს. ნაზარიანცს (ბათუმი); **ცურვაში** — შ. ვაჩნაძეს (თბილისი); **ძალოსნობაში** — ვ. ბუხნიკაშვილს, რ. ჩიმიშკიანს (ორივე — თბილისი).

მაღალმთიანობა და რეკორდები

ლენინაკანი, 2 ოქტომბერი. ამ ქალაქის სტადიონის ბიტუმის ბილიკი ერთ-ერთი ყველაზე „სწრაფია“. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებათა და უწყებების ოლიმპიური გუნდების მატჩის ბოლო დღეს. ჩვენი ქვეყნის ნაკრების მორბენლები 4×200 მეტრზე ესტაფეტაში უკონკურსოდ ასპარეზობდნენ. ნ. პეჩონკინამ თავიდანვე სწრაფი ტემპით დაიწყო რბენა, ლ. სამოტიოსოვამ კი ქარიშხალივით გაიქროლა ბოლო ორას მეტრზე. ასე იშვა ახალი მსოფლიო რეკორდი — 1.34,4. რეკორდსმენი გუნდის შემადგენლობაში შედიოდნენ ლ. ტკაჩენკო და თ. ბორჩიკოვაც. ადრინდელი მსოფლიო რეკორდი, რომელიც ამ ოთხი წლის წინ მოსკოვის ლენინის სახელობის სტადიონზე დაამყარეს ჩვენმა ქალებმა, 1 წუთი და 34,7 წამი იყო. სამოტიოსოვა ორივე „სარეკორდო კვარტეტის“ მონაწილეა.

სულ ორი თვის არსებობა ეწერა 200 მეტრზე თარჯრბენში სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ჩემპიონის, მოლდაველი ვ. ბოლშოვას უმაღლეს მსოფლიო მიღწევას. მისი შედეგი „შესწორა“ სპორტკლუბ „ჩიმგანის“ (ტაშკენტი) წარმომადგენელმა, 26 წლის რ. ბაბიჩმა. მისი მაჩვენებელი — 27,1 — 0,1 წამით სჯობს ბოლშოვას შედეგს.

უროს ტყორცნაში იუნიორთა საკავშირო რეკორდი დაამყარა ვოლგოგრადელმა დინამოელმა ი. აშმარინმა — 68,04 მ. ამავე შედეგით პირველობა მოიპოვა გ. კონდრაშოვმა (პროფკავშირები I), რომელსაც შემდეგი ცდისას აშმარინზე უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა.

ხუთჭიდში დიდ წარმატებას — 4941 ქულას (10,9, 13,52 მ, 166 სმ, 615 სმ, 25,4) მიაღწია სპარტაკელმა მ. სიზიაკოვამ (ივანოვო). ეს უმაღლესი საერთაშორისო კლასის მაჩვენებელია.

საბჭოთა მძლეოსნობის ისტორიაში მეორე შედეგია ლუგანსკის სპორტკლუბ „ზარიას“ წარმომადგენლის ვ. სკომოროხოვის მიღწევა. 400 მეტრზე თარჯრბენში მან 50,1 წამი აჩვენა, რაც 0,9 წამით აღემატება საერთაშორისო ოლიმპიურ ნორმატივს.

სამხტომში პირველი იყო ვ. კურკევიჩი — 16,69 მ. ეს 13 სმ-ით აღემატება ლენინაკანის სტადიონის მის მიერვე შარშან დამყარებულ რეკორდს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას პროფკავშირთა პირველი ნაკრების სპორტსმენებმა აჯობეს — 1078 ქულა. II ადგილზეა „დინამო“ — 729,5, III — შეიარაღებული ძალების კოლექტივი — 721,5.

კაუნასში გამართულ მხატვრულ ტანმოვარჯიშე გოგონათა საკავშირო შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზა თბილისის 52-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელმა სვეტლანა მირეჩკომ (მწვრთნელი ნ. სალუქვაძე). I თანრიგის პროგრამით მოვარჯიშეთა შორის მან ყველას აჯობა.

სურათზე: ს. მირეჩკო წვრთნისას.

ფოტო ი. იუნაევისა.

ბაკურიანელი მოთხილამურეები კარგა ხანია შეუდგნენ ზამთრის სეზონისთვის სამზადისს. ნორჩი დინამოელის ჯგუფებში ათობით სპორტსმენი მეცადინეობს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის პ. კოზანაშვილისა და სპორტის ოსტატ შ. კოზანაშვილის ხელმძღვანელობით. სწორედ ამ ჯგუფებში აღიზარდნენ სპორტის ოსტატები გ. აბრამიშვილი, მ. გავა, ი. ნასყიდაშვილი, ათობით ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი.

წლეულს ბაკურიანში გაიხსნა სპორტსმენთა დაოსტატების უმაღლესი სკოლის ჯგუფებიც რომლებსაც სათავეში ჩაუდგნენ რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ნ. თვაური და სპორტის ოსტატი ი. ოგანეზოვი.

თოვლის მოსვლამდე სპორტსმენები საერთო ფიზმომზადებასა და იმიტაციაში ვარჯიშობენ.

სურათზე: ნ. თვაური ავარჯიშებს ტრამპლინიდან მხტომელებს.

ფოტო ო. გელაშვილისა.

საიუბილეო, საერთაშორისო

კიროვოგრადი, 2 ოქტომბერი. საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო მოტოკროსის პირველი ეტაპი რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა მოიგეს. „250“ და „500“ კლასების მანქანებით ასპარეზობაში მათთან ერთად მონაწილეობდნენ ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უკრაინისა და კიროვოგრადის ოლქის სპორტსმენები.

საგანგებო პრიზებით დაჯილდოვდნენ „250“ კლასის მანქანებით რბოლაში საუკეთესო, კიეველი ლ. შინკარენკო, კიროვოგრადის ოლქის უძლიერესი სპორტსმენი ვ. ბოროდაი, შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეები — ჩეხოსლოვაკიელი ტ. ოტოკარი და კიროვოგრადელი [illegible] „500-ანებში“ ყველას აჯობა რუსეთის ფედერაციის გუნდის წევრმა ა. ლებედევმა.

ასპარეზობის მეორე ეტაპი გაიმართება 5 ოქტომბერს ივანო-ფრანკოვსკში, მესამე — 8 ოქტომბერს ლვოვში.

ა. მორეირას 15 ტალანტი

ბრაზილიის ნაკრები 8 წლის მანძილზე ფეხბურთის სამყაროს „ერთმმართველი“ იყო. ბოლო არ უჩანდა მსოფლიოს ჩემპიონების ხოტბას. მაგრამ როგორც კი მარცხი იწვნიეს ინგლისში, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან თითქმის მთლიანად გაქრა მათი ხსენება. დამხობილი კორიფეები კი არასგზით არ ეგუებიან თავიანთ მდგომარეობას და ისევ ცდილობენ „ზედაპირზე ამოტივტივებას“.

ბრაზილიელი ჟურნალისტები გაოცებული არიან მწვრთნელ ა. მორეირას ფანატიზმით. „რადაც უნდა დაგვიჯდეს, ინგლისის ლაქას ჩამოვირეცხავთ!“ — აცხადებს იგი.

მორეირა ამბობს, რომ პირველად როდი უხდება ბრაზილიის ნაკრებთან მუშაობა (მან ვ. ფეოლა შეცვალა ჩილის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რადგან „ელ გორდო“ („სქელი“) ავად გახდა), მაგრამ მისი მდგომარეობა ადრე სულ სხვა იყო. „1962 წელს მე ფეოლასგან მივიღე მზამზარეული გუნდი, ახლა კი ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო“.

და აი, მორეირამ მართლაც თავიდან დაიწყო. პირველი ეტაპი იყო გაფაციცებული სელექციური მუშაობა, ნაკრების კანდიდატების მოძებნა. მორეირამ „მიაგნო“ 15 ტალანტს (ადრე ასე თუ ისე, ცნობილი იყო მათი სრულიად უმნიშვნელო ნაწილი). მწვრთნელს მხოლოდ ის აღონებს, რომ ჯერჯერობით სასურველი მეკარე ვერ აღმოაჩინა.

აი, ნაკრების კანდიდატებიც — მცველები: ევერალდო (მარკოს და სილვა, 22 წლის, „გრემიო“), ჟორჟე (ლუის კამპოსი, 19, „ვასკო და გამა“), სადი (სადი შვირტი, 24, „ინტერნასიონალი“); ნახევარმცველები: პაესი (ფრანცისკო ხოსე პაესი, 21, „პორტუგეზა“), დიასი (რობერტო ბრანკო დიასი, 24, „სან-პაულუ“), დირსენი (დირსენ ლოპესი, 22, „კრუზეირო“), პიაკო (პიაკო ვილსენი, 24, „კრუზეირო“); გარემარბები: ვოლმიკი (ფრანცისკო დე სოუზა, 22, „გრემიო“), მარიო (გომეს და კოსტა, 24, „ფლუმინენსე“), ნატალი (22, „კრუზეირო“); ცენტრალური თავდამსხმელები: ალსინდო (მარტა დე ფრეიტასი, 22, „გრემიო“), ივაირი (ივაირ ფერეირა, 22, „პორტუგეზა“), ედუარდო (ამერიკო კოიმბრა, 20, „ამერიკა“), ტოსტაო (20, „კრუზეირო“), პაულო (პაულო ბორჯესი, 22, „ბანგუ“).

საყურადღებოა, რომ კანდიდატთა უმეტეს ნაწილს თავდამსხმელები შეადგენენ. ეს ახალი ამბავი როდია ბრაზილიაში, სადაც კარგი მცველი მის წონა ოქროდ ფასობს.

ნაკრების 15 კანდიდატიდან მხოლოდ 3 მოთამაშეა ცნობილი. ივაირი მსოფლიო ჩემპიონატის წინ პელეს სახიფათო მეტოქედ ითვლებოდა, მაგრამ მერე დამავდა და ინგლისში არ წაუყვანიათ. ალსინდომ და ტოსტაომ ჩემპიონატში ითამაშეს და არც თუ ურიგოდ.

აი, რა უპასუხა მორეირამ კორესპონდენტებს:

● **როგორ ითამაშებს ახალი ნაკრები?**

— არ მინდა მოთამაშეებს თავს მოვახვიო მკაცრი სქემები. მათი შემოქმედებითი ფანტაზია ოდნავადაც არ იქნება შეზღუდული.

● **რა განსხვავებაა 1962 წლის ნაკრებსა და ახლანდელ გუნდს შორის?**

— უზარმაზარი. 1962 წელს ჩამაბარეს საშინელი ძალის მანქანა, რომლის შეჩერება შეუძლებელი იყო. ახლა მყავს ახალგაზრდები, რომლებმაც სპორტული რეპუტაცია უნდა შეიქმნან.

● **როგორი ფეხბურთის მომხრე ხართ?**

— ელეგანტურის და კოლექტიურისა.

● **რას იტყვით ახალ მოთამაშეებზე?**

— მათ კარგად იციან, რომ ყველა როდი დადგება პელე ან გარინჩა. ამიტომ თავდადებული შრომა მართებთ ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად.

● **რა ფაქტორებს ითვალისწინებთ ფეხბურთელის შერჩევისას?**

— ახალგაზრდობასა და ტალანტს. ჩემი გუნდის საშუალო ასაკი 22 წელია. ეს იმედს გვაძლევს 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ.

● **რატომ არ მიაქციეთ ყურადღება ბრწყინვალე დრიბლიორს, „ბოტაფოგოს“ 17 წლის მარჯვენა გარემარბ როჯერის?**

— იმიტომ, რომ გვყავს ბორჯესი, რომლის მაღალი კლასიც ბრაზილიაში საყოველთაოდაა აღიარებული. უნდა გენახათ მისი 3 გოლი ინგლისის „სანდერლენდთან“ შეხვედრაში (ბორჯესი თავის საკლუბო გუნდ „ბანგუში“ გამოდიოდა). დიდ იმედებს იძლევა ნატალი. იგი დირსენ ლოპესის, დიდისა და ზიზინიოს ღირსეული მეტოქე იქნება.

● **რა უფლებები გაქვთ, როგორც მწვრთნელს?**

— მე ვარჩევ მოთამაშეებს, რომელთა სიას მიმტკიცებს ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაცია და, ცხადია, ვავარჯიშებ გუნდს.

● **რა ნაკლს ხედავთ ბრაზილიის ნაკრების ახლანდელ მოთამაშეებში?**

— ფიზიკური მომზადებით ისინი ჩამოუვარდებიან ევროპელ სუპერ-ათლეტებს. ეს ნაკლი უნდა გამოვასწოროთ: 1970 წლამდე ჩვენი თამაში უფრო სწრაფი უნდა გახდეს.

* * *

წლეულს ბრაზილიის ნაკრები შემოიფარგლა მხოლოდ ორი საერთაშორისო ამხანაგური მატჩით ურუგვაიელებთან (ორივე დამთავრდა ერთნაირი ანგარიშით — 1:1). გაისად მორეირა ბევრი ამხანაგური შეხვედრის ჩატარებას აპირებს ევროპაში. ბრაზილიის დამარცხებული ნაკრები ძალას იკრებს.

გ. გამრეკელი.

ფეხბურთი

7 ოქტომბერს, ჰამბურგში

გფრ-ის ნაკრები იუგოსლავიის ეროვნულ გუნდთან ევროპის პირველობის შესარჩევი მატჩისთვის (გაიმართება 7 ოქტომბერს ჰამბურგში) ემზადება. მწვრთნელმა ჰ. შიონმა დაასახელა თავისი გუნდის 20 კანდიდატი.

მეკარეები: მაიერი („ბაიერნი“) და ვოლტერი (ბრაუნშვაიგის „აინტრახტი“);

მცველები: ჰიოტგესი („ვერდერი“), ვოგტსი („მენჰენგლადბახი“), პაცკე („მიუნჰენ 1860“), შულცი („ჰამბურგერ შპორტფერაინი“), ვებერი („კიოლნი“), ფიხტელი („შალკე 04“);

ნახევარმცველები: ბეკენბა უ ე რ ი („ბაიერნი“), ოვერატი („კიოლნი“), სიმენსმაიერი („ჰანოვერ 96“), ნეცერი („მენჰენგლადბახი“);

თავდამსხმელები: ზეელერი („ჰამბურგერ შპორტფერაინი“), მიულერი („ბაიერნი“), ლერი („კიოლნი“), ლიბუდა (დორტმუნდის „ბორუსია“), კეპელი („შტუტგარტი“), მაიერი („მენჰენგლადბახი“), ჰერცი („ვერდერი“) და როდეკამპი („ჰანოვერ 96“).

ჰალერსა და შნელინგერს ამ თამაშისთვის იტალიიდან არ გამოიწვევენ, ხოლო რაც შეეხება ჰელდს, იგი დაშავებულია.

ნაკრების ახალი მოთამაშეები არიან თავდამსხმელები კეპელი, მაიერი, ჰერცი და ნახევარმცველი ნეცერი. მათ კარგად ითამაშეს ეროვნულ ჩემპიონატში. მიმომხილველთა აზრით, მარჯვენა გარემარბად ითამაშებს გამოცდილი ლიბუდა, რომელიც ადრე არაერთხელ გამოსულა ეროვნულ ნაკრებში, თუმცა მსოფლიოს VIII ჩემპიონატში არ მონაწილეობდა. ცნობილმა ცენტრალურმა მცველმა ვებერმა, რომელიც ინგლისიდან დაბრუნების შემდეგ უღიმღამოდ თამაშობდა, ამჟამად „ფორმა დაიბრუნა“. კარგ ფორმაშია ზეელერიც.

დარჩა 5 პრეტენდენტი

მძიმე წონის პროფესიონალთაგან დარჩა 5 მოკრივე, რომლებიც განაგრძობენ ბრძოლას მსოფლიო ჩემპიონის პოსტზე მოჰამედ ალის (კ. კლეი) შესაცვლელად. ესენი არიან ამერიკელი ზანგები ჯიმ ელისი, ტედ სპენსერი, ფლოიდ პატერსონი, ჯონ კვირი და არგენტინელი ოსკარ ბონავენა.

ადრინდელი ბრძოლებიდან უნდა აღინიშნოს ელისის გამარჯვება ლეოსის მარტინთან, სპენსერისა — ერნი ტერელთან, ბონავენასი—ევროპის ჩემპიონ კარლ მილდენბერგერთან. როგორც იუგოსლავიელი კორესპონდენტი ბ. პეროვანოვიჩი ამ უკანასკნელი მატჩის შესახებ წერს, „ბონავენამ უფრო დამაჯერებლად მოუგო მილდენბერგერს, ვიდრე კასიუს კლეიმ მას ამ ერთი წლის წინათ“.

25 წლის ბონავენა საკმაოდ აშკარა თვითრეკლამას ეწევა. აი, რა განაცხადა მან:

— მე ჯერ არ ვიცი, რაა დამარცხება. მართალია, ოფიციალურ ანალებში წერია, რომ თითქოს სამი მატჩი წავაგე, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე როდია. ერთხელ მსაჯებმა დისკვალიფიკაცია მომცეს ხუსტ მოკრივე გეორგეტისთან ვითომცა და აკრძალული ილეთის გამოყენებისთვის, ორჯერ ქულებით დამარცხებულად გამომაცხადეს (ფრეზერთან და ფოლეისთან), თუმცა ამ შეხვედრებში გამარჯვება მე უფრო მერგებოდა.

ახლა ერთ ნახევარფინალურ მატჩში ბონავენა უნდა შეხვდეს ელისს, სპენსერი კი პატერსონ—კვირის ბრძოლაში გამარჯვებულს. ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება 11 ნოემბერსა და 2 დეკემბერს.

პრეტენდენტთა ფინალური ორთაბრძოლა 1968 წლის დამდეგს გაიმართება და გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონად გამოცხადდება.

საათი!

◆ **ბაქო, 3 ოქტომბერი.** აქ გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივმა „ნეფტიანიკმა“ მოუგო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკლუბო გუნდ „ერკშირს“ — 2:1.

ახალი ამბები

● **კოშიცე, 2 ოქტომბერი.** ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის მძლეოსანთა ორდღიან მატჩში გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელებმა. აი, მაღალი შედეგები: ჩეხოსლოვაკიელ ვაჟთა გუნდი — 4×100 მ ესტაფეტა — 39,6, რ. ჰიუბნერი (ჩეხოსლოვაკია) — სიმაღლეზე ხტომა — 211 სმ, ზ. ჩიფრი (უნგრეთი) — სამხტომი — 16,33 მ, ე. კუზმანოვა — სიგრძეზე ხტომა — 633 სმ, მ. ფაიტოვა (ორივე — ჩეხოსლოვაკია) — სიმაღლეზე ხტომა — 173 სმ.

● **მოსკოვი, 2 ოქტომბერი.** დღეს იაპონიას გაემგზავრნენ საბჭოთა ჩოგბურთელები ვიაჩ. ეგოროვი და ა. ივანოვი, ისინი იაპონიის სამ ქალაქში ერთეულთა და წყვილთა რვა შეხვედრას გამართავენ ადგილობრივ სპორტსმენებთან.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

დღეს ტელეეკრანებზე

დიდი ფეხბურთი!

17 ს. 55 წ. გადმოცემა ცვიკაუდან (გდრ). **ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მატჩი: „მოტორი“ (ცვიკაუ) — „ტორპედო“ (მოსკოვი).**

20 ს. გადმოცემა კიევიდან. **ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მატჩი: „დინამო“ (კიევი) — „სელტიკი“ (გლაზგო).**

დრო თბილისისაა.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. **5 ოქტომბერი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის II ჯგუფი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „დინამო“ (ლენინგრადი).** ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 16 ს. 45 წ.

ИНДЕКС 66448 საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 8 უე 04201